ერთობლივი მოქმედება ერთმანეთის გასაძლიერებლად

სინერგია

ორშაბათი, 2 აპრილი, 2012

რეზონანსის ყოველთვიური დამატება

№13

დევნილები წყალტუბოს ახალ კორპუსებში: „სამი თვეა, ამ ჩამომპალ კედლებში ვცხოვრობთ“

„ჯობდა, „შახტიორში“ დავრჩენილიყავი. ის დაეკანონებინათ, სხვა არაფერი გვინდოდა. ჩამოგვიყვანეს აქ და ყველა გადასახადს ისე გვახდევინებენ, თითქოს დასაქმებულები ვიყოთ!“

„10-სახლიანი ახალი საცხოვრებელი უბანი 352 ოჯახისათვის წყალტუბოში“

მარი ოთარაშვილი

გასული წლის დეკემბერში წყალტუბოს სანატორიუმებში მცხოვრები დევნილები სუბელიანის უწყებამ ახალ კორპუსებში შეასახლა. ფასადშეღებილ შენობებში მცხოვრები დევნილები სინესტეში ყოფნას უკვე ვეღარ უძლებენ და მხოლოდ გაზაფხულის დადგომის იმედი აქვთ.

აფხაზეთიდან დევნილთა 2500 ოჯახი წყალტუბოს 22 კომპაქტურ ცენტრში იყო ჩასახლებული. ამჯერად, მათი გამოსახლება 5 სანატორიუმიდან მოხდა („მეშახტე“, „ივერია“, „სავანე“, ე.წ. „უშიშროება“, „სინათლე“, „პანსიონატი“).

1500-მდე ოჯახი ფოთში, ბათუმსა და წყალტუბოში, ახალ შენობებში გადაიყვანეს. აქედან, წყალტუბოში მათთვის ათი კორპუსი აშენდა.

დანარჩენი დევნილების ბედი, ჯერჯერობით, გაურკვეველია. როგორც ისინი ჩვენთან საუბრისას აცხადებენ, მათთვის უცნობია, სამინისტროს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, სად მოუწევთ ცხოვრება. მხოლოდ იმას ვარაუდობენ, რომ წყალტუბოში არსებული ძველი შენობები შერემონტდება და იქ შეასახლებენ. წყალტუბოში ასეთი შენობებია: ყოფილი საავადმყოფო, „დოსააფი“ და სტატისტიკის უწყების ყოფილი შენობა.

აღსანიშნავია, რომ სანატორიუმების ის შენობები, რომლებიდანაც დევნილთა გამოსახლება მოხდა, ჯერ დალუქული არ არის. უფრო მეტიც, ზოგიერთ გამოსახლებულ დევნილს ახალ ჩასახლებაში ფართი არ ერგო. მთავრობის წარმომადგენლობამ მათ ისევ ძველი სანატორიუმისკენ მიუთითა: ჯერჯერობით, იქ იყავით და მერე რამეს ვიღონებთო. ზოგიერთი მათგანი მართლაც დაბრუნდა დაცარიელებულ სანატორიუმში. იქ არც შუქი დახვდათ და არც - წყალი. ასეთ პირობებში - უშუქო, გაყინულ ოთახში ცხოვრობს ახლა ***ვლადიმერ შონია,*** ახალნამშობიარებ მეუღლესთან და შვილთან ერთად.

„სამინისტროს წარმომადგენლებმა მითხრეს, - ერთსულიანი ოჯახი ხართ და დიდი ფართი არ გეკუთვნისო. ვუთხარი, რომ მეუღლე მყავდა ორსულად. შვილი რომ არ გეყოლოსო?...“ - ამბობს ჩვენთან საუბრისას ვლადიმერ შონია.

უშუქობა და სიცივე დევნილებს ახალ კორპუსებშიც აწუხებთ:

„აქ ძალიან ცივა. თითქოს საყინულეში ვცხოვრობთ. ნესტში ვიხრჩობით. კედლები სულ სველია. გვეშინია, ბავშვებს რამე არ დაემართოს. ერთი ბავშვი აქედან წავიყვანეთ - ცოტა ხნით მაინც გავარიდეთ აქაურობას“, - ამბობს გაგრიდან დევნილი აფხაზი ქალბატონი - ***ზინაიდა ტანია***. გვითხრა, რომ ორ შვილიშვილს უვლის, რომლებიც მამამ მიატოვა. „არანაირი შემოსავალი არ გვაქვს. გადასახადებს ვერ ვიხდით. არ ვსარგებლობთ არანაირი შეღავათით“, - ამბობს ის.

დასასრული მე-3 გვერდზე

ბათუმში, საპროტესტო აქციაზე, პატრულმა დევნილებს კარვის დადგმის საშუალება არ მისცა

მარი ოთარაშვილი

30 მარტს, ბათუმში, ჯერ კიდევ 2006 წელს ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილებულმა დევნილებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათ სახელმწიფოს მიერ გაცემული ფულადი კომპენსაცია (7000 დოლარი) საცხოვრებელი ფართის საყიდლად არ ეყოთ და კვლავ უსახლკაროდ დარჩნენ. საპროტესტო აქციაზე მოვიდნენ ისინიც, ვინც ამ კომპენსაციაზე თავიდანვე უარი თქვა. თავის დროზე, ისინი სასტუმროებსა და პანსიონატებში: „მედეაში“, „მესხეთში“, „აისსა“ და „ჰორიზონტში“ ცხოვრობდნენ.

ეს დევნილები ბათუმში, დევნილთა ახალ დასახლებაში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას ითხოვენ.

ხელისუფლებამ აფხაზეთიდან დევნილებისთვის ბათუმში, კერძოდ, თამარ მეფის დასახლებაში ახალი კორპუსები ააშენა, სადაც წყალტუბოს 5 სანატორიუმიდან გამოსახლებული დევნილები შეასახლა. აქვე შეასახლეს ბათუმში მცხოვრები დევნილების მცირე ნაწილიც.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ბათუმში საცხოვრებელს დევნილთა 250-მდე ოჯახი ითხოვს. მათი უმრავლესობა ქირით ცხოვრობს, ნაწილი კი - ნათესავთან. ისინი ბინის ქირაში, სულ მცირე, 200 დოლარს იხდიან.

„აქ ვართ, ასევე, დევნილები, რომლებიც კერძო სექტორში ვცხოვრობთ და 7000 დოლარი არ მიგვიღია. რეალურად, 200-მდე ოჯახი ვიყავით, მაგრამ 130-მდე დაიყვანეს - დანარჩენები გათხოვილები არიანო. სინამდვილეში, გათხოვილები გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ“, - ამბობს აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი - ***ნანა ჭანტურია.***

ბათუმში საცხოვრებელ ფართს დევნილთა 250-მდე ოჯახი ითხოვს. მათი უმრავლესობა ქირით ცხოვრობს, ნაწილი კი – ნათესავთან.

„გვპირდებოდნენ, თამარის დასახლებაში კორპუსები აშენდება და ბინებს მოგცემთო. ბოლოს კი გვითხრეს, - თქვენ კომპენსაცია მიღებული გაქვთ და დამატებით, საცხოვრებელი ფართი არ გეკუთვნითო. რეალურად, ეს არ იყო ბინის ყიდვისთვის საკმარისი თანხა. ამ მთავრობისთვის რამდენია საკომპენსაციო თანხა, ჩვენ არ ვიცით. ნორმალურ ქვეყნებში კომპენსაცია ჰქვია იმ თანხას, რომლითაც ბინის შეძენა შესაძლებელი იქნება“, - ამბობენ საპროტესტო აქციის მონაწილეები.

აქციაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - ადა მარშანიაც მივიდა. მან შეკრებილებს მოუწოდა, თავიანთი მიზნის მისაღწევად ბოლომდე იბრძოლონ. ამისათვის კი, მისივე თქმით, საჭიროა საპროტესტო გამოსვლების მოწყობა მანამ, სანამ პრეზიდენტი მათთან შეხვედრისა და აღნიშნული პრობლემის მოგვარების გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

საპროტესტო აქციაზე დევნილები კარვის დადგმას გეგმავდნენ, მაგრამ პატრულმა მათ ამის საშუალება არ მისცა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯე“: პროექტები დევნილებისთვის

დევნილი ქალები საკრებულოს სხდომაზე

23 მარტს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას „საუნჯეს“ წარმომადგენლები და ფოცხო - ეწერში მცხოვრები დევნილები ესწრებოდნენ.

„საუნჯის“ მიზანია, ხელი შეუწყოს დევნილების ჩართულობას ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებაში.

ახალგაზრდების ჩართულობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში

20 მარტს, 11 საათზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართულ სოციალურ საკითხთა, ჯანდაცვის, განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიის სხდომას „საუნჯის“ წარმომადგენელი და ფოცხო - ეწერში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდები ესწრებოდნენ.

კომისიამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შექმნილი სოციალური დახმარების გამცემი კომისიის მიერ 2012 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში გაწეული მუშაობის შესახებ; განცხადების განხილვა მოქალაქეებზე ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ცენტრების აუდიტორული დასკვნის განხილვის თაობაზე და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სოციალურად დაუცველი, გაჭირვებული, დაბალშემოსავლიანი და სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე მოქალაქეებისათვის, სამკურნალო პროცედურებისა და ქირურგიული ოპერაციების დაფინანსების პროგრამა.

ახალგაზრდები ასევე დაესწრნენ 20 მარტს, 12:00 საათზე გამართულ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომას, სადაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიში 2012 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის შესრულების შესახებ. 2. ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ცენტრების აუდიტორული დასკვნის განხილვის შესახებ“; 3. მოქალაქეებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე.

„საუნჯის“ პროექტის - „ახალგაზრდების მონაწილეობა ადგილობრივი ბიუჯეტის დადგემვაში და შემდგომი თანამშრომლობა თვითმმართველობის ორგანოებთან“ ძირითადი კომპონენტია ახალგაზრდების მონაწილეობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებაში და ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების მონიტორინგი.

კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტები „საუნჯეში“

საქართველოში იმყოფებიან კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც კვლევას ატარებენ. ისინი ხვდებიან არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს, მოქალაქეებს. ზუგდიდში „საუნჯის“ თანამშრომლებთან შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტეს, ჩასულიყვნენ ფოცხო - ეწერში. 17 მარტს მათ დაათვალიერეს ფოცხო - ეწერი; შეხვდნენ დევნილებს.

დედის დღე ფოცხო – ეწერში

3 მარტს, „საუნჯის“ რესურს - ცენტრში, ფოცხო - ეწერში მცხოვრებმა ახალგაზრდა დედებმა დედის დღე ერთად აღნიშნეს. დისკუსია გაიმართა ქალების შეაძლებლობებზე და იმ საჭიროებებზე, რომელიც ფოცხო - ეწერში მცხოვრებ დედებს აქვთ. ქალბატონებმა აღნიშნეს, რომ მათი შვილებისთვის აუცილებელი იყო ბაღის გახსნა. ეს პრობლემა მოგვარდა, ახლა კი, მათი თქმით, მნიშვნელოვანი აფთიაქის გახსნაა.

დევნილთა ინფორმირებულობა ფოცხო – ეწერში

„საუნჯემ“ გამოსცა ბუკლეტი, სადაც მოცემულია ინფორმაცია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესახებ. ბუკლეტთან ერთად გავრცელდა გზამკვლევი, რომელიც გამოსცა „კონფლიქტებისა და ნაციონალიზმის კვლევის ინსტიტუტმა“ „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინტიტუტის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. გზამკვლევი შეიცავს ინფორმაციას იმ სამსახურების ფუნქციების შესახებ, რომლებსაც დევნილები ხშირად მიმართავენ.

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსი

2011 წლის 24 დეკემბერს სერთიფიკატები გადაეცათ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც ფოცხო - ეწერის ოფისში კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი სამთვიანი კურსი გაიარეს.

დასასრული მე-4 გვერდზე

დევნილი, რომელიც მალე სამი შვილის მამა გახდება, სამსახურს უშედეგოდ ეძებს

თეონა ალანია

დევნილი, რომელიც მალე სამი შვილის მამა გახდება, სამსახურს ეძებს, რათა ოჯახი არჩინოს, თუმცა არაერთი მცდელობის მიუხედავად, კვლავ დაუსაქმებელია. ოჩამჩირიდან დევნილი რობერტ ქოჩქიანი წყალტუბოს სანატორიუმიდან ბათუმში, ახალ ჩასახლებაში, იანვარში შეასახლეს. ის სამ შვილს ელოდება - 2 ვაჟსა და ერთ ქალიშვილს.

რობერტ ქოჩქიანი: „ჩემი მეუღლე შვიდი თვის ორსულია. ახლა კასპშია, თავის მშობლებთან. აბა, აქ როგორ ვამყოფო?

ერთჯერად დახმარებას კი არ ვითხოვ; სამსახურს ვეძებ, რათა ჩემი ოჯახი თავად ვარჩინო. ვის არ მივმართე - სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებს. აქეთ-იქით მაგზავნიან. ბოლოს, საპატრიარქოშიც გამიშვეს, მაგრამ იქიდანაც უარით გამომისტუმრეს. განცხადება პრეზიდენტის სახელზეც დავწერე; პრეზიდენტის მეუღლესაც მივმართე. ჩემს არანაირ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. გავიგე, რომ პრეზიდენტი მესამე ბავშვის დაბადებაზე ერთჯერად დახმარებას - 1000 ლარს აძლევს ოჯახს, მაგრამ ეს ხომ ოჯახის სარჩენად საკმარისი არ არის?

მითხრეს: შრომის ბირჟაზე ჩაეწერე და შენს რიგს დაელოდეო“.

ქოჩქიანი შრომის ბირჟაზეც ჩაეწერა და თავის რიგს ახლაც ელოდება.

დევნილები წყალტუბოს ახალ კორპუსებში: „სამი თვეა, ამ ჩამომპალ კედლებში ვცხოვრობთ“

„ჯობდა, „შახტიორში“ დავრჩენილიყავი. ის დაეკანონებინათ, სხვა არაფერი გვინდოდა. ჩამოგვიყვანეს აქ და ყველა გადასახადს ისე გვახდევინებენ, თითქოს დასაქმებულები ვიყოთ!“

გაგრძელება

ორი თვეა, დავალიანების გამო, ელექტროენერგია გამორთული აქვს დევნილ მზია შონიას.

„შემოსავალი არსაიდან გვაქვს, ამიტომ მხოლოდ გაზის ფულს ვიხდი. ცოტათი ვთბებით და სადილს ვამზადებთ. სინათლე კი გარედან შემოდის...

აქ რომ შემოგვასახლეს, არაფერი მოგვცეს; სანატორიუმში რაც გვქონდა, ის ნივთები გადმოვიტანეთ. ჩემი კედლები არ სველდება, რადგან ბინის მხარეს არ აწვიმს და თანაც, ფანჯრები სულ ღია მაქვს. მაგრამ გაუსაძლის ეკონომიურ პირობებში ვცხოვრობთ, გაუსაძლის გაჭირვებაში“, - ამბობს ***მზია შონია.***

აქ დევნილებს იმდენად უჭირთ, რომ წამალს ვეღარ ყიდულობენ.

ელენა ფოცხვერაშვილი ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ სამედიცინო დახმარების თვალსაზრისით, შეღავათების მიღება მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ავადმყოფობა ძალიან აწუხებს, პოლისი კი არ აქვს.

„კორპუსები ნორმალურად მაინც დაეპროექტებინათ - სამზარეულის ფანჯარა არ უნდა ჰქონდეს? გამწოვი დამონტაჟებულია, მაგრამ არ მუშაობს. სამი თვეა, ამ ჩამომპალ კედლებში ვცხოვრობთ. ჯობდა, „შახტიორში“ დავრჩენილიყავი. ის დაეკანონებინათ, სხვა არაფერი გვინდოდა. ჩამოგვიყვანეს აქ და ყველა გადასახადს ისე გვახდევინებენ, თითქოს დასაქმებულები ვიყოთ!“ - ამბობს ***ციალა ჩიქოვანი.***

ამმოხუცი ქალბატონისბინაში ყველაფერი სველია. ნივთები დაობებულია. მის სახლში კიდევ ერთი მოხუცი ცხოვრობს, რომელსაც გადაადგილება უჭირს.

ნოდარ საღინაძემაც გვაჩვენა თავისი ნესტიანი სახლი. მას მთელი დღის განმავლობაში ჩართული აქვს ელექტროქურა, რათა, როგორმე, კედლები გაშრეს. მაგრამ კედლები ისევ სველია, გადასახადს კი გადასახადი ემატება.

> „აქ ძალიან ცივა. თითქოს საყინულეში ვცხოვრობთ. ნესტში ვიხრჩობით. კედლები სულ სველია. ერთი ბავშვი აქედან წავიყვანეთ – ცოტა ხნით მაინც გავარიდეთ აქაურობას“.

> „არანაირი შემოსავალი არ გვაქვს. გადასახადებს ვერ ვიხდით. არ ვსარგებლობთ არანაირი შეღავათით“.

დევნილებმა უკვე ისიც გაარკვიეს, რომ, თუკი წყალტუბოს მოსახლეობა კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მოხმარებისთვის 52 თეთრს იხდის, თბილისელები კი - 50 თეთრს, წყალტუბოს ახალ კორპუსებში ჩასახლებულ დევნილებს 59 თეთრის გადახდა უწევთ. მიზეზი „სოკარიდან“ ასე განმარტეს - გაზის შემოყვანის დროს 40 ლარი უნდა გადაგეხადათ; რადგან დაფინანსება დევნილთა სამინისტრომ არ უზრუნველყო, ახლა თქვენ - ნელ-ნელა უნდა დაფაროთო.

დევნილებში უმაყოფილების საფუძველი ხდება ის გარემოება, რომ მათი მისამართები მხოლოდ გადასახადების ქვითრებზეა მითითებული. მათ უკვე აღარც სჯერათ, რომ ბინები, სადაც ისინი ახლა მთავრობამ შეასახლა, დაუკანონდებათ. ისინი უფრო მოარული ხმების გავლენის ქვეშ ექცევიან.

ვალერი ბანძელაძე ამბობს, რომ ამ ფერად შენობებში ცხოვრებას „შავ“ სანატორიუმში ყოფნა ერჩივნათ:

„ზამთარში იქ რომ დავრჩენილიყავით, უკეთესი იქნებოდა. გაყინულ ოთახში ვსხედვართ და ჯერ კიდევ შეუმშრალი საღებავი თავზე გვეყრება. აქ საცხოვრებლად დეკემბერში გადმოვედით. მართალია, ფართი გვაქვს, მაგრამ დაკანონებაზე არავინ ლაპარაკობს. თუმცა, მამაჩემის აშენებული სახლიდან გამომაგდეს და ახლა, აქედანაც რომ გამაგდონ, გასაკვირი რა უნდა იყოს?!“

„გვითხრეს, - ორი წლის მერე დაგიკანონებთო. ისინი ხომ იმას ელოდებიან, ერთსულიან ოჯახებში მოხუცები როდის დავიხოცებით - მერე ჩვენს ბინებში სხვები რომ შეასახლონ. ლტოლვილების მეტი რა არის?“ - საუბარში გვერთვება ***ნოდარ საღინაძე.***

> „სამინისტროს წარმომადგენლებმა მითხრეს, – ერთსულიანი ოჯახი ხართ და დიდი ფართი არ გეკუთვნისო. ვუთხარი, რომ მეუღლე მყავდა ორსულად. შვილი რომ არ გეეოლოსო?...“

> დევნილებმა უკვე ისიც გაარკვიეს, რომ, თუკი წყალტუბოს მოსახლეობა კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მოხმარებისთვის 52 თეთრს იხდის, თბილისელები კი – 50 თეთრს, წყალტუბოს ახალ კორპუსებში ჩასახლებულ დევნილებს 59 თეთრის გადახდა უწევთ. მიზეზი „სოკარიდან“ ასე განმარტეს – გაზის შემოყვანის დროს 40 ლარი უნდა გადაგეხადათ; რადგან დაფინანსება დევნილთა სამინისტრომ არ უზრუნველყო, ახლა თქვენ – ნელ-ნელა უნდა დაფაროთო.

არასამთავრობო ორგანიზაცია „წყალტუბოს დევნილქალთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი, თავად დევნილი ლალი გრიგოლავა ამბობს, რომ კომპაქტური ცენტრებიდან დევნილების განსახლება მაინც მისასალმებელია, რადგან ისინი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფილნი არიან; გაუუმჯობესდათ საყოფაცხოვრებო პირობები.

ლალი გრიგოლავა: „სამინისტრო ამბობს, რომ დევნილებს ეს ფართი დაუკანონდება, თუმცა, ამ პერსპექტივისთვის უფრო კონკრეტული საფუძველი მობინადრეებისთვის ჯერ ცნობილი არ არის. მათ ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ და, შესაბამისად, ეჭვიც არსებობს“.

გადამისამართებასთან დაკავშირებული პრობლემიდან გამომდინარე, გაუგებარია ისიც, თუ როგორ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას წყალტუბოს ახალ კორპუსებში ჩასახლებული დევნილები.

ნესტან კირთაძე: „სოხუმში ჩასვლას ვგეგმავ“

მარი ოთარაშვილი

„ჩვენ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ; ამჯერად მხოლოდ ერთმანეთს ვზომავთ. ისინი ახლა აზუსტებენ, თუ რა მიმართულებით ვმუშაობთ; როგორ გვესახება პროცესის მიმდინარეობა. ჩვენც კონტაქტებს ვეძებთ და აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს. უფრო მეტიც - მე ვგეგმავ სოხუმში ჩასვლას და გპირდებით, რომ სოხუმიდან დაგირეკავთ და პირდაპირ რეპორტაჟს ჩაგაწერინებთ სოხუმიდან. ეს უახლოეს ხანში მოხდება“, - აცხადებს ჩვენთან საუბრისას სამოქალაქო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“ ხელმძღვანელი - ნესტან კირთაძე.

- რა არის თქვენი ორგანიზაციის კონკრეტული მიზანი?

- ჩვენ სამოქალაქო სტრუქტურის დონეზე უნდა დავიწყოთ საფუძვლების მომზადება ნდობის აღდგენისთვის, მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ თითოეული ადამიანისთვის.

ბოლო წლების განმავლობაში თითქოს მიჩვეული ვიყავით იმას, რომ ქართულ-ოსური საკითხი მთლიანად იყო დელეგირებული საერთაშორისო პოლიტიკური ცენტრებისათვის (მხედველობაში მაქვს საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციები, ან თავად პოლიტიკური ცენტრები - მაგალითად, ოფიციალური ვაშინგტონი, ოფიციალური ბრიუსელი, ოფიციალური მოსკოვი და ა.შ.). დელეგირებული იყო, სულ მცირე, საქართველოს ხელისუფლებისთვის, და ისიც ქორების პოლიტიკას ახორციელებდა.

- რას გულისხმობთ?

- „გაზაფხულზე სოხუმში შევდივართ“, „იანვარში ცხინვალში ვიქნებით“ - აი, ეს არის ქორების პოლიტიკა. და ეს, რასაკვრველია, კიდევ უფრო მეტად აღრმავებდა კონფრონტაციას.

ხაზგასმით მინდა, მადლიერება გამოვხატო იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც მთელი ამ წლების განმავლობაში კონფლიქტის მოგვარების პროცესის ხელშეწყობისთვის ძალისხმევას არ იშურებდნენ. მაგრამ, ჩემი აზრით, საჭირო იყო სწორედ სამოქალაქო მოძრაობის შექმნა, რათა ეთნიკური კუთვნილების, აღმსარებლობის, პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად, საქართველოს ყველა მოქალაქეს ეთქვა, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს; რომ უნდა დავიწყოთ პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან, და სწორედ ადამიანური ურთიერთობების დონეზე შევქმნათ საფუძველი მუდმივი მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის.

სამოქალაქო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი“ გასული წლის 5 დეკემბერს გატარდა რეგისტრაციაში.

ამ ეტაპზე, უპირატესობა მაინც საერთაშორისო დონეზე ურთიერთობებს და პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიციების, მიდგომების მოქალაქეებისთვის გაცნობას მივანიჭეთ.

სამშვიდობო ინიციატივების განხორციელებისთვის, აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის დასაწყებად, კონკრეტული პროექტები უნდა გაგვეცნო საქართველოში აკრედიტებული ელჩებისთვის, დიპლომატიური კორპუსისთვის. წერილები დაიგზავნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, ბრიუსელში - ევროკავშირის ოფისში; ასევე, რუსეთის ფედერაციაში - საგარეო საქმეთა მინისტრთან, ბ-ნ ლავროვთან და მის მოადგილესთან, ბ-ნ კარასინთან, ვინაიდან ის ხელმძღვანელობს რუსეთის დელეგაციას ჟენევის დისკუსიებში. მათთან კონტაქტი შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით შედგა.

ორი კვირის წინ, ბრიუსელში, გვქონდა პრეზენტაციები ჩვენს სტრატეგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

- ურთიერთობთ თუ არა უშუალოდ აფხაზურ და ოსურ მხარეებთან?

- რა თქმა უნდა, უკვე არსებობს გარკვეული კონტაქტები. სამოქალაქო მოძრაობამ წარმოადგინა, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი - „პირდაპირი დიალოგი: თბილისი-სოხუმი, თბილისი-ცხინვალი“.

პროექტი ითვალისწინებს ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართის გამოცემას აფხაზურ და ოსურ ენებზე. გაზეთი დაიბეჭდება თბილისში. პარტნიორები არიან სამოქალქო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი“ და გაზეთი „სვობოდნაია გრუზია“ (რედაქტორი - ტატო ლასხიშვილი).

- იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში საერთაშორისო ორგანიზაციების (ეუთო, გაერო, ევროკავშირი), ასევე, არასამთავრობო სექტორის მიმართ უნდობლობა გამოკვეთილი პრობლემაა, აღნიშნული პროექტის განხორციელება და, ზოგადად, პირდაპირი დიალოგის აღდგენის პერსპექტივა როგორ წარმოგიდგენიათ?

- აბსოლუტურად გეთანხმებითიმაში,რომ ნდობის დეფიციტია. მაგრამ ჩვენმზად ვართ ურთიერთობების აღსადგენად - ყველანაირიფორმით, რომელიციქნება მშვიდობიანი.

- აპირებთ თუ არა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებთან ურთიერთობას?

- ჩვენმხოლოდპირველნაბიჯებს ვდგამთ;ამჯერად მხოლოდ ერთმანეთს ვზომავთ. ისინი ახლა აზუსტებენ, თუ რა მიმართულებით ვმუშაობთ; როგორ გვესახება პროცესის მიმდინარეობა. ჩვენც კონტაქტებს ვეძებთ და აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს. უფრო მეტიც - მე ვგეგმავ სოხუმში ჩასვლას და გპირდებით, რომ სოხუმიდან დაგირეკავთ და პირდაპირ რეპორტაჟს ჩაგაწერინებთ სოხუმიდან. ეს უახლოეს ხანში მოხდება. უიმედობამ არ უნდა შეგვაშინოს. ეს ჩვენი გასაკეთებელი საქმეა და თანამიმდევრულად უნდა ვიბრძოლოთ.

ნესტან კირთაძე: „გპირდებით, რომ სოხუმიდან დაგირეკავთ და პირდაპირ რეპორტაჟსჩაგაწერინებთ სოხუმიდან“.

„სამოქალაქო მოძრაობამ წარმოადგინა, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი - „პირდაპირი დიალოგი: თბილისი-სოხუმი, თბილისი-ცხინვალი“. პროექტი ითვალისწინებს ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართის გამოცემას აფხაზურ და ოსურ ენებზე.“

არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯე“: პროექტები დევნილებისთვის

დასასრული

განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები ფოთში

19 ნოემბერს, ფოთის ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა საჯარო დისკუსია, სახელწოდებით - „განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ალტერნატიული საცხოვრებელი ფართები ფოთში“. შეხვედრას ესწრებოდა ახალ რაიონში ჩასახლებული 30-მდე დევნილი. მომხსენებლები იყვნენ: ადამიანის უფლებათა დამცველი ლია მუხაშავრია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი ნონა ქურდოვანიძე და საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთის“ წარმომადგენელი იაგო ფასანძე. დისკუსიას მოდერაციას ეკა ფირცხალავა უწევდა.

დისკუსიას ესწრებოდნენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ზუგდიდის ოფისის წარმომადგენლებიც. შეხვედრის საორგანიზაციო საკითხები უზრუნველყო ორგანიზაცია „საუნჯემ“.

მორიგი პროექტი ფოცხო - ეწერში

„შერიგების რესურსების“ დაფინანსებით, „საუნჯემ“ ფოცხო - ეწერში მეორე პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის სახელწოდებაა „დევნილთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დაგეგმვაში და შემდგომი თანამშრომლობა თვითმმართველობის ორგანოებთან“. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა „საუნჯის“ ოფისში უკვე შეიმუშავეს პროექტები და წინადადებები დასახლებაში არსებულ საჭიროებებზე და ისინი წალენჯიხის გამგეობასა და საკრებულოში წარადგინეს. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, სოციალური პროგრამების ხელმისაწვდომობაზე ბიუჯეტის მონიტორინგი დაიწყება.

დევნილთა სამოქალაქო მოძრაობა ქვეყნის ხსნას „სახალხო კრებაში“ ხედავს

თეონა ალანია

დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის თავმჯდომარე - დავით მალაზონია აცხადებს, რომ ერთადერთი ძალა, რომელიც საქართველოს გადაარჩენს, „სახალხო კრებაა“.

- რატომ შეაჩერა დევნილთა სამოქალაქო მოძრაობამ არჩევანი მაინცდამაინც „სახალხო კრებაზე“? რატომ შეუერთდით მას?

- ჩვენ ვთანამშრომლობდით „სახალხო კრებასთან“. მიგვაჩნია, რომ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც გადაარჩენს საქართველოს, სწორედ „სახალხო კრებაა“. ვფიქრობთ, რომ მას ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსი აქვს.

- თუმცა, მას შემდეგ, რაც ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ გამოჩნდა, არსებობდა მოლოდინი, რომ დევნილთა სამოქალაქო მოძრაობაც ამ კოალიციას შეუერთდებოდა. გქონდათ მასთან კონსულტაციები?

- მთავარია, ყველა ერთად დავდგეთ და მიზანს ერთიანი ძალით მივაღწიოთ.

CONCILIATION RESOURCES
working together for peace

გაზეთი „სინერგია“ გამოდის ევროკომისიისა და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „შერიგების რესურსების“ (CR) მხარდაჭერით. პროექტი: „კონფლიქტურ რეგიონებში ხელისუფლებების ანგარიშვალდებულების გაზრდა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების გზით“.

„სინერგიაში“ გამოქვეყნებულ მასალებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, ყოველთვის არ გამოხატავდეს ქსელის საერთო პოზიციას. ქსელი იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზენაეს ღირებულებას.